

შპს „საქართველოს ველები“

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "საქართველოს ველები"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019	შენიშვნა
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	101361	240773	5059	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1842239	1610763	1703142	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	299102	88014		
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები		430876	95207	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა		430876	95207	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	145570	111780	121361	3.2
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	2080526	116103		3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	4468798	2598309	1924769	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	11300			
სავაჭრო ვალდებულებები	2453721	2283404	1874461	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1098			
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	2159	600	600	3.4
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1975632	234995		3.4
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	4443910	2518999	1875061	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	24888	79310	49708	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	24888	79310	49708	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4468798	2598309	1924769	
სულ მოკლევადიანი აქტივები	2388272	2482206	1924769	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2468278	2284514	1875061	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.11.2022 წ.				
დირექტორი: _____ ზურაბ მარგველაშვილი				
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "საქართველოს ველები"			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2021	2020	
ნეტო ამონაგები	3762932	3302965	3.5
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	3762932	3302965	
- მომსახურების გაწევიდან			
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-3179698	-3005663	3.5
საერთო მოგება	583234	297302	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-68934	-19945	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-22082	-2470	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-35914	-747	3.6
იჯარის ხარჯი	-17203	-5085	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-459523	-411620	3.7
სულ საოპერაციო ხარჯები	-603656	-439867	
საოპერაციო მოგება	-20422	-142565	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-33992	171969	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-8	198	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-54422	29602	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-54422	29602	3.8
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-54422	29602	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	79310	49708	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	24888	79310	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.11.2022 წ.			
დირექტორი: _____		ზურაბ მარგველაშვილი	
თანმზღვრები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "საქართველოს ველები"		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
	ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	133432	70419
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-1979294	-118573
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	1706281	234248
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-139581	186094
სავალუტო კურსის ეფექტი	169	49620
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	240773	5059
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	101361	240773
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.11.2022 წ.		
დირექტორი: _____	ზურაბ მარგველაშვილი	
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „საქართველოს ველები“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2019 წლის 7 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405323270, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ტ. ტაბიძის ქ. №57.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის მფლობელები არიან ფიზიკური პირები:

ზურაბ მარგველაშვილი - 50% წილის მფლობელი;

გიორგი მარგველაშვილი - 50% წილის მფლობელი.

ეს ფიზიკური პირები იმავდროულად არიან კომპანიის დირექტორები.

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საქართველოში წარმოებული ღვინის გაყიდვა საზღვარგარეთ (ექსპორტი), ასევე მევენახეობა. ვენახების გაშენება წარმოებს ყვარლის რაიონში.

1.4. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ აქვს შვილობილი, ერთობლივი ან მეკავშირე საწარმოები.

1.5. კომპანიის დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი შეადგენდა: 2020 წელს - 2 კაცს; 2021 წელს - 34 კაცს.

ბუღალტრულ მომსახურებას აუთსორსინგის ხელშეკრულების საფუძველზე უწევს აუდიტური ფირმა - შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2019 წლიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია 2020 წლიდან წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის)

ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

ვენახები - 33-40 წელი;

ავეჯი - 10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე აღჭურვილობა - 4-5 წელი;

ინვენტარი, სპეციალური ინსტრუმენტები - 5-8 წელი;

ტრაქტორები და სასოფლო სპეცტექნიკა - 10-20 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;
- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2019-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი; 1 EUR=4.0233 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2021 წელს: 1 USD=3.2170 ლარი; 1 EUR=3.8152 ლარი.

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და მისი ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	18	18
ლარი საბანკო ანგარიშებზე	69902	236044
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	31018	4711
ევროები საბანკო ანგარიშებზე	423	
სულ:	101361	240773

3.2. სხვა მოკლევადიანი აქტივები:

სხვა მოკლევადიანი აქტივები 2021 წლის ბოლოს შედგებოდა:

ჯამური ზედმეტობა ბიუჯეტის მიმართ - 145293 ლარი;

ზედმეტობა საპენსიო სააგენტოს მიმართ - 277 ლარი.

სულ - 145570 ლარი.

3.3. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

2021 წლის ბოლოს კომპანიის ძირითადი საშუალებები ძირითადად შედგებოდა სოფლის მეურნეობისთვის განკუთვნილი მოძრავი ტექნიკისაგან, რაც არ იბეგრება ქონების გადასახადით, და მშენებარე ვენახისაგან (ბიოლოგიური აქტივი). რაც ასევე არ იბეგრება ქონების გადასახადით. ვენახების გაშენება ხდება იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე.

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	2021 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მშენებარე ვენახი და მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებები	1712687	1716053	3366	0			
სპეცტექნიკა სოფლის მეურნეობისთვის	360941	262995	18157	116103	118573	2470	
სხვა ძირითადი საშუალებები	6898	7457	559	0			
სულ:	2080526	1986505	22082	116103	118573	2470	0

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2021 წლის ბოლოს - 24 553 ლარი;

2020 წლის ბოლოს - 2 470 ლარი.

3.4. მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
მიღებული უპროცენტო სესხები დამფუძნებლებისაგან	650	600
დარიცხული საპროცენტო ვალდებულება „თიბისი ბანკის მიმართ“	1509	
შელავათიანი გრძელვადიანი სესხი (მექანიზაცია) „საქართველოს ბანკიდან“	616029	146102
შელავათიანი გრძელვადიანი აგროსესხი „თიბისი ბანკიდან“	1359603	88893
სულ:	1977791	235595

კომპანიამ 2020-2021 წლებში სარგებლობდა შემდეგი შელავათიანი სესხებით:

„საქართველოს ბანკისგან“ სესხი (ტექნიკის შესყიდვაზე აღებული სესხი) - მთავრდება 31.12.2026-ში;

„თიბისი ბანკის“ სესხი (ვენახის გაშენებაზე) - მთავრდება 22.03.2026-ში;

დამფუძნებლებისაგან მიღებული უპროცენტო სესხები.

სესხების ათვისება ხდება ნაწილ-ნაწილ, საჭიროებისამებრ.

3.5. ნეტო ამონაგები:

2020-2021 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა საზღვარგარეთ (ექსპორტზე) გაყიდული ღვინის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან, ხოლო გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება არის მისი შესყიდვის ფასი (დღგ-ის გარეშე).

	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები ღვინის პროდუქციის გაყიდვიდან (ექსპორტი)	3762932	3302965
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	-3179698	-3005663
სულ მოგება რეალიზაციიდან:	583234	297302

3.6. საპროცენტო ხარჯები:

2021 წელს, ბანკებისგან აღებულ შეღავათიან სესხებზე დარიცხულია პროცენტები 96 269 ლარი, მაგრამ იმის გამო, რომ ამ თანხის დიდი ნაწილი - 60 355 ლარი დაფარა სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტომ, კომპანიის ნეტო-საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 35 914 ლარი.

ანალოგიური სიტუცია იყო ასევე 2020 წელს: ბანკებისგან აღებულ შეღავათიან სესხებზე დარიცხული იყო პროცენტები 8741 ლარი, მაგრამ იმის გამო, რომ ამ თანხის დიდი ნაწილი - 7994 ლარი დაფარა სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტომ, კომპანიის ნეტო-საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 747 ლარი.

3.7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2021 წელი	2020 წელი
რეკლამის ხარჯები	-411471	-378682
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	-4854	-3600
საგადასახადო და საბაჟო ხარჯები	-7891	-4032
მიწოდების სხვა ხარჯები	-1929	-2972
საბანკო ხარჯები	-31594	-22033
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-1784	-301
სულ:	-459523	-411620

3.8. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიის 2020 წლის მოგებამ შეადგინა 29602 ლარი, ხოლო 2021 წელს მიღებულია ზარალი - **-54 422** ლარი. 2019 წლის გაუნაწილებელი მოგების გათვალისწინებით, 2021 წლის ბოლოს მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგების ნაშთი შეადგენს სულ **24888** ლარს.

2019-2020 წლებში მიღებული მოგებიდან დივიდენდების განაწილება არ მომხდარა.

3.9. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დამფუძნებლების/დირექტორების ან სხვა ურთიერთდამოკიდებული პირების წინაშე არსებული ვალდებულებები პერიოდის ბოლოს:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
მიღებული უპროცენტო სესხი ზურაბ მარგველაშვილისგან	300	300
მიღებული უპროცენტო სესხი გიორგი მარგველაშვილისგან	300	300
მიღებული უპროცენტო სესხი ურთიერთდამოკიდებული იურიდიული პირისგან	50	
სულ:	650	600

3.10. სასამართლო დავები:

კომპანიას 2020 და 2021 წლების განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონდა.

3.11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020-2022 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2021 წელს და 2022 წელსაც. 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემიის მასშტაბები შემცირებულია, მაგრამ სრულად დამარცხებული არ არის.

შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, კომპანიას ფინანსური სირთულეები არ შექმნია და კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2022 წლის 1 იანვრიდან 28 ნოემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას, არ მომხდარა.

3.12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2022 წლის 28 ნოემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.


შპს "საქართველოს ველები"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	101361	240773	5059	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1842239	1610763	1703142	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	299102	88014		
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები		430876	95207	
მარაგები				
მ.შ. - მზა პროდუქცია		430876	95207	
- სხვა				
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	145570	111780	121361	3.2
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	2080526	116103		3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	4468798	2598309	1924769	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	11300			
სავაჭრო ვალდებულებები	2453721	2283404	1874461	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1098			
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	2159	600	600	3.4
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1975632	234995		3.4
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	4443910	2518999	1875061	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	24888	79310	49708	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	24888	79310	49708	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4468798	2598309	1924769	
სულ მოკლევადიანი აქტივები	2388272	2482206	1924769	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2468278	2284514	1875061	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.11.2022 წ.

დირექტორი:  ზურაბ მარგველაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "საქართველოს ველები"

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2021	2020	
ნეტო ამონაგები	3762932	3302965	3.5
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	3762932	3302965	
- მომსახურების გაწევიდან			
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-3179698	-3005663	3.5
საერთო მოგება	583234	297302	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-68934	-19945	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-22082	-2470	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-35914	-747	3.6
იჯარის ხარჯი	-17203	-5085	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-459523	-411620	3.7
სულ საოპერაციო ხარჯები	-603656	-439867	
საოპერაციო მოგება	-20422	-142565	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-33992	171969	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-8	198	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-54422	29602	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-54422	29602	3.8
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:	-54422	29602	
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	79310	49708	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებს (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	24888	79310	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.11.2022 წ.

დირექტორი:

ზურაბ მარგველაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "საქართველოს ველები"


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	133432	70419
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-1979294	-118573
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	1706281	234248
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-139581	186094
სავალუტო კურსის ეფექტი	169	49620
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	240773	5059
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	101361	240773

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.11.2022 წ.

დირექტორი: _____



ზურაბ მარგველაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.